განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის ფორმა

შპს - ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ

ვიზიტის განხორციელების თარიღი

27-28 აპრილი, 2023

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დიანა მჭედლიშვილი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ია ფანცულაია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

ელენე ხურციძე, ევექსის კლინიკები, საქართველო

ნინო ჯავახიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2023

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. დიანა მჭედლიშვილი (თავმჯდომარე)
2. ია ფანცულაია (წევრი)
3. ელენე ხურციძე (წევრი)
4. ნინო ჯავახიშვილი (წევრი)

ცენტრის წარმომადგენელი

1. დავით ბურჯანაძე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების სახე	☐ კოლეჯი x სასწავლო უნივერსიტეტი ☐ უნივერსიტეტი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	450
სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა (გთხოვთ მიუთითოთ აქტიური და სტატუს შეჩერებული სტუდენტების რაოდენობა ცალ-ცალკე)	აქტიური - 250 სტატუსშეჩერებული - 314
აქტიური და სტატუს შეჩერებული საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა	აქტიური - 224 სტატუსშეჩერებული - 313
აკადემიური (მათ შორის აფილირებული, არააფილირებული), სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა (გთხოვთ მიუთითოთ ცალ-ცალკე)	აფილირებული - 21 არააფილირებული - 3 მოწვეული - 156
სასწავლო და/ან სამეცნიერო პროცესში ჩართული საერთაშორისო პერსონალის რაოდენობა	აკადემიური - 8 მოწვეული - 6 კვლევაში ჩართული - 3
ავტორიზაციის მინიჭების თარიღი	24.06.2021
ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ნომერი	08.07.2021, №689586
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	24.06.2027

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	1025
რამდენი სტუდენტის დამატება სურს ინსტიტუციას	575

შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა (ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი განაცხადის ფორმა სტუდენტთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით და ვიზიტი)

მოკლე აღწერა:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 10 აპრილის №402041 ბრძანების შესაბამისად, შეიქმნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა შპს - ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმში ვიზიტის განხორციელება და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან მიმართებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოებების შემოწმება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს - ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდება 2023 წლის 27-28 აპრილს. ვიზიტი წარიმართა პირისპირ ფორმატში, ჰიბრიდული სესიებით საჭიროებიდან გამომდინარე. ვიზიტი მიმდინარეობდა კოლეგიურ, საქმიან და მშვიდ გარემოში.

დოკუმენტაციის გაცნობის და ინტერვიუების დროს გამოკვეთილი გარემოებების შემოწმების მიზნით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა გარკვეული დოკუმენტაცია, რაც დაწესებულებამ წარმოადგინა შეუფერხებლად, დათქმულ ვადაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის შვიდივე სტანდარტთან მიმართებით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განისაზღვრა 10 რეკომენდაცია. აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ სასწავლო უნივერსიტეტი მზად იყოს სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის მისაღებად. ინსტიტუციას მნიშვნელოვანი წინსვლა აქვს მატერიალური რესურსების გაუმჯობესების თვალსაზრისით, თუმცა ჯერ კიდევ იკვეთება განვითარების საჭიროება სტრატეგიული დაგეგმარების და სამოქმედო გეგმის შესრულების ნაწილში, ასევე, ადამიანური რესურსების მდგრადობის და კვლევითი პოტენციალის ზრდის თვალსაზრისით.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, რის შედეგადაც მოიხსნა ორი რეკომენდაცია, საიდანაც ერთი შინაარსობრივი თვალსაზრისით აქტუალურია და გაჟღერებულია მეორე სტანდარტში. მთლიანობაში შეფასება დარჩა უცვლელი. ჩვენი პოზიცია საჭიროებისამებრ მოყვანილია შესაბამისი სტანდარტის აღწერილობით ნაწილში.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (გთხოვთ მონიშნოთ ერთერთი)

☐ განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ინსტიტუცია მზად არის სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობით მისაღებად;

☒ განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ინსტიტუცია მზად არ არის სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობით მისაღებად.

რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი 1

- რეკომენდებულია, სტრატეგიული მიზნების და ამოცანების მიმართ გრძელვადიან პერსპექტივაში რისკების მეტი გათვლა და დასახული სტრატეგიული ამოცანების შესრულებაზე ფოკუსირება.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ ასახოს სამოქმედო გეგმაში და შეიმუშავოს დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის განახლებულ დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის გეგმა.

სტანდარტი 2

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაზარდოს ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ეფექტური განხორციელება.

სტანდარტი 3

- რეკომენდებულია, გაიზარდოს დამსაქმებელთა ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში.

სტანდარტი 4

- რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის აფილირების ხელშეკრულების მოქმედების ვადა.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი სტუდენტთა დაგეგმილი კონტინგენტის შესაბამისად.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაანალიზოს QMS-ბაზის მონაცემები და შეიმუშავოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის ისეთი სქემა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობას და ეფექტურ განხორციელებას.

სტანდარტი 6

- რეკომენდებულია, აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდა ეტაპობრივად დატვირთვის სქემის გაზრდის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერებას.
- რეკომენდებულია, ფინანსების გაზრდა სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, რაც მოიცავს კონფერენციებზე პერსონალის/სტუდენტების დასწრებას.

სტანდარტი 7

- რეკომენდებულია, აფილირებული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პროფესიული განვითარებისა და სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაძლიერების მიზნით, მოხდეს ფინანსური რესურსების გაზრდა კვლევითი პროექტების განსახორციელებლად.

რჩევების შეჯამება

-

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

შეაფასეთ რამდენად უკავშირდება ინსტიტუციის მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა უსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას (ამის გათვალისწინებით, გთხოვთ გააკეთოთ შესაბამისი აღნიშვნა):

☐ *უკავშირდება* ☒ *ნაწილობრივ უკავშირდება* ☐ *არ უკავშირდება*

გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
„ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმი“-ს მისიას წარმოადგენს „ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო განათლების სფეროში უმაღლესი სამეცნიერო და ეთიკური სტანდარტების დანერგვით, სწავლების ინოვაციური მეთოდების შეთავაზებით, ეფექტური მენეჯმენტისა და თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების მუდმივი განვითარებით, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვასა და გაუმჯობესებას ჯანდაცვის სფეროს მაღალკვალიფიციურ პროფესიონალთა მომზადებით“. სასწავლო უნივერსიტეტი მხარს უჭერს განათლების გლობალიზაციის ხედვას მულტიკულტურული სასწავლო და კვლევითი გარემოს შექმნის გზით, რომელიც სწავლების, კვლევისა და კლინიკური პრაქტიკის მაღალ სტანდარტებზე და ხარისხის მუდმივ განვითარებასა და დახვეწაზეა ორიენტირებული. აღნიშნული განაცხადი დასტურდება თვითშეფასების ანგარიშით, სასწავლო უნივერსიტეტში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობით და ინტერვიუს შედეგებით. სასწავლო უნივერსიტეტი BAU Global ქსელის აქტიური წევრია და ჩართულია ცოდნის საერთაშორისო მასშტაბით გავრცელებაში. სასწავლო უნივერსიტეტის ღირებულებებად დეკლარირებულია განათლებისა და მეცნიერების მიმართ თანასწორი მიდგომა, ადამიანის ღირსების პატივისცემა, სტუდენტების დახმარება ფართო მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, რასაც ეფუძნება მსოფლიო მშვიდობა, ადამიანთა კეთილდღეობა და ბედნიერება. სასწავლო უნივერსიტეტის სოციალური მისიია მისი საზოგადოების წევრების მხრიდან მეცნიერების, ჰუმანიზმის, დაავადებებათა სოციალურ კონტექსტის გაცნობიერება. სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის პერიოდის განმავლობაში რამდენჯერმე განხორციელდა მისიის რეფორმულირება, როგორც შიდა, ასევე გარე შეფასებებისა და სტრატეგიულ ამოცანათა შესრულების შესაბამისად. სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა, რამაც გამოიწვია მედიცინის დარგზე კონკრეტიზებული მისიის ხელახალი მოდიფიცირების საკითხი. საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრთა შეხედულებები უნივერსიტეტისა და მისი საკვანძო მახასიათებლების შესახებ საფუძვლად დაედო მისიის განახლებული რედაქციის პროექტს, რომელიც განხილულ იქნა სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა წარმომადგნლების მონაწილეობით და დამტკიცდა, როგორც უნივერსიტეტის განახლებული მისია. სასწავლო უნივერსიტეტი თავისი მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების გეგმით, რომელმაც რამდენჯერმე განიცადა ცვლილებები გარე შეფასების შედეგად განსაზღვრული რეკომენდაციების და შიდა მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით. მონიტორინგის, ჩატარებული ანალიზის, სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების ხედვის შესაბამისად განისაზღვრა სტრატეგიული მიზნები და დაჯგუფდა 3 ძირითადი მიმარულებით: o სწავლებისა და კვლევის განვითარება; o ორგანიზაციული განვითარება; o ინფრასტრუქტურული განვითარება. თითოეულ მიმართულებაში განსაზღვრულია სტრატეგიული ამოცანები, რომლითაც შესაძლებელია აღნიშნული მიმართულებით გათვალისწინებული სტრატეგიული მიზნების მიღწევა. თითოეული სტრატეგიული მიზანი აერთიანებს მის მისაღწევად აუცილებელ ამოცანათა ერთობლიობას, რომლებიც, მათი მახასიათებლებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დაჯგუფდეს ქვემიზნებად. მოდიფიცირება განიცადა და დაიხვეწა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის სისტემა, დეტალურად გაიწერა მონიტორინგში მონაწილე სუბიექტები, პროცედურა და

შედეგებზე რეაგირების წესები. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისთვის გამოყენებულია 3 მეთოდის ერთობლიობა:
o ანგარიშგება;
o ინსტიტუციური შესრულების ინდიკატორები;
o მონიტორინგი.
აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში სტრატეგიულ გეგმაში განხორციელდა რიგი ცვლილებები, კერძოდ, ზოგიერთი სტრატეგიული ამოცანა იქნა ამოღებული, ზოგიერთის შესრულების ვადა გახანგრძლიოვდა, ზოგიც არ შესრულდა, ასევე, განხორციელდა ახალი სტრატეგიული ამოცანების განსაზღვა. შესაბამისად, იმისათვის, რომ კონტინგენტის გაზრდის პირობებში შენარჩუნდეს პროცესების მდგრადობა და შეუფერხებელი განვითარება, საჭიროა სტრატეგიული მიზნების და ამოცანების მიმართ გრძელვადიან პერსპექტივაში რისკების მეტი გათვლა და დასახული სტრატეგიული ამოცანების შესრულებაზე ფოკუსირება. კონტინგენტის მკვეთრი ზრდის პირობებში ყურადღება უნდა გამახვილდეს სტრატეგიული ამოცანების შესრულებაზე, მათ შორის „პერსონალის მოზიდვა, შენარჩუნება და განვითარება“ შესაძლოა გამოიკვეთოს როგორც მნიშვნელოვნად აქტუალური.
ასევე აღსანიშნავია, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 16 ნოემბრის N1465694 ბრძანებით არსებითად განახლდა მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, დიპლომირებული მედიკოსის განმახორციელებელმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა უზრუნველყონ დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცებიდან 6 თვის ვადაში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში სამოქმედო გეგმის წარდგენა დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის განახლებულ დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე. აღნიშნული გეგმის შემუშავებაზე და წარდგენაზე არ არის მოყვანილი შესაბამისი ინფორმაცია დაწესებულების სამოქმედო გეგმაში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის პასუხად, დამატებით აღვნიშნათ, რომ თვითშეფასების ანგარიშზე დაყრდნობით, სტრატეგიულმა დოკუმენტმა განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები, კერძოდ, 2 სტრატეგიული ამოცანა არ შესრულდა, 5-ს გაუგრძელდა შესრულების ვადა, დაემატა 6 ახალი ამოცანა, ხოლო 4 ამოღებულ იქნა და მხოლოდ 1 ჩაითვალა მიღწეულად. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა გადაწყვიტა აღნიშნული სტანდარტის პირველი რეკომენდაციის უცვლელად დატოვება.
რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის განახლებულ დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის გეგმა არის მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ხოლო დადგენილ ვადაში მისი წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში არის სავალდებულო. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი ექსპერტთა ჯგუფის ხედვით ასახული უნდა ყოფილიყო დაწესებულების სამოქმედო გეგმაში. ამ დოკუმენტის ადგილზე მოთხოვნის საჭიროება არ ყოფილა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო უნივერსიტეტის მისია;
- სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგია;
- თვითშეფასების ანაგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, სტრატეგიული მიზნების და ამოცანების მიმართ გრძელვადიან პერსპექტივაში რისკების მეტი გათვლა და დასახული სტრატეგიული ამოცანების შესრულებაზე ფოკუსირება.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ ასახოს სამოქმედო გეგმაში და შეიმუშავოს დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის განახლებულ დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის გეგმა.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

შეაფასეთ ინსტიტუციის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში, მათ შორის თუ როგორ განსაზღვრავს ინსტიტუცია სტუდენტების რაოდენობას პროგრამებზე, რამდენ სტუდენტს მიიღებს ყოველწლიურად სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის გათვალისწინებით, რა წინაპირობების დაკმაყოფილებით და ა.შ. (ამის გათვალისწინებით, გთხოვთ გააკეთოთ შესაბამისი აღნიშვნა):

☐ ინსტიტუციაში არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა სრულად იძლევა შენარჩუნებულ იქნას შესაბამისი პირობები სტუდენტთა წარმატებისათვის გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში

☒ ინსტიტუციაში არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ნაწილობრივ იძლევა შესაძლებლობას შენარჩუნებულ იქნას შესაბამისი პირობები სტუდენტთა წარმატებისათვის გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში

☐ ინსტიტუციაში არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა შესაძლებლობას არ იძლევა შენარჩუნებულ იქნას შესაბამისი პირობები სტუდენტთა წარმატებისათვის, გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში

გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
„ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“ ორგანიზაციული სტრუქტურა და მმართველობითი პროცესები განსაზღვრულია სასწავლო უნივერსიტეტის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად. ერთ-ერთ ძირითად ამოცანას მართვის სტრუქტურის განვითარება წარმოადგენს, რისთვისაც სასწავლო უნივერსიტეტმა დანერგა ხარისხის მენეჯმენტის სისტემა (ISO 9001:2015). სასწავლო უნივერსიტეტში დაინერგა მართვის ძირითადი პროცესების რუკა და ძირითადი პროცესებიდან გამომდინარე დამხმარე პროცესების რუკა. დაკვირვების შედეგად გამოვლენილი იქნა გადაფარვები, როდესაც კონკრეტულ პროცესში მთავარ შემსრულებლად ერთზე მეტი სტრუქტურული ერთეული იყო ჩართული, რის გამოსწორების მიზნითაც შესაბამისი ცვლილებები შევიდა სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებში, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების განსაზღვრელ დებულებებში და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობაში. შედეგად, შედგა პროცესების მთლიანი საორგანიზაციო რუკა, რომელიც აღწერს თითოეული პროცესის ინიცირებაზე, მართვაზე, შეთანხმებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს და ასევე განსაზღრავს სხვა სტრუქტურული ერთეულების ჩართულობის ფარგლებს. მმართველობითი პროცესების ანალიზის შედეგად, სასწავლო უნივერსიტეტის მმართველობით პროცესებში გამოიკვეთა კორპორაციული ხელმძღვანელობით-წარმომადგენლობითი და საგანმანათლებლო სამეცნიერო-კვლევითი ხელმძღვანელობის უფლებამოსილებათა გამიჯვნის აუცილებლობა. კერძოდ, გამოიკვეთა რექტორის კომპეტენციის დაკონკრეტება და მისთვის კორპორაციული მმართველობის წნეხის შემსუბუქება. როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, საანგარიშო პერიოდში სასწავლო უნივერსიტეტის მმართველობით სტრუქტურაში განხორციელდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც შინაარსობრივად კორპორაციულ-აღმასრულებელი ფუნქცია მიენიჭა ახალ ორგანიზაციულ-სტრუქტურულ ერთეულს - დირექტორს, ამავდროულად, რექტორს მიენიჭა სრული ავტონომია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება. აღნიშნული ცვლილების პარალელურად, განხორციელდა ვიცე-რექტორის კომპეტენციათა რევიზია, რექტორის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების დაკონკრეტება და ანგარიშვალდებულების საკითხის კორექტირება. კერძოდ, ვიცე-რექტორის ფუნქცია-მოვალეობიდან გამოიყო ფინანსური ადმინისტრირების საკითხები, რამაც დააკონკრეტა მისი სტრატეგიული განვითარების საკითხში ჩართულობა. ამასთან, გაიმიჯნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ვიცე-რექტორის

კომპეტენციები, რითიც გამოირიცხა ამ ორ ორგანიზაციულ-სტრუქტურულ ერთეულს შორის უფლებამოსილებათა გადაფარვა.
სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო წარმოადგენს აკადემიური საქმიანობის მართვის უმაღლეს წარმომადგენლობით კოლეგიალურ ორგანოს, რომლის საქმიანობა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობას ეფუძნება. მის შემადგენლობაში შედის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე - რექტორი, სასწავლო უნივერსიტეტის ყველა პროფესორი და ასოცირებული პროფესორი, ასევე სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი.
ახალი LMS სისტემის დანერგვასთან ერთად სტრუქტურას დაემატება ახალი სტრუქტურული ერთეული, რომელშიც წარმოდგენილი იქნება LMS მენეჯერი. განისაზღვრება მისი ადგილი სტრუქტურაში, უფლებამოსილება და პასუხისმგებლობები.
სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის შესაბამისადაც გათვლილია სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის პირობებში საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების მისაღები კვოტა წლების მიხედვით.
წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ხორციელდება უნივერსიტეტის რესურსების საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებების კონტექსტში შეფასების გზით და მოიცავს სააუდიტორიო რესურსების შესაბამისად სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას საგანმანათლებლო პროგრამებისთვის (მედიცინა, სტომატოლოგია) ცალ-ცალკე. თუმცა, როდესაც ჯგუფი შესაძლებელია შედგებოდეს მედიცინისა და სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებისგან (I სასწავლო წელი) ზღვრული ოდენობა იანგარიშება ჯამში, ორივე პროგრამის სტუდენტებისგან, და მიღებული შედეგი ნაწილდება თითოეულ პროგრამაზე გეგმურად მისაღები სტუდენტების ოდენობის შესაბამისად.
ასევე იკვეთება, რომ სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პერსონალის (უნივერსიტეტის აკადემიური კორპუსი - აკადემიური და მოწვეული პერსონალი) დატვირთვით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა გამოიანგარიშება სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამების (მედიცინა, სტომატოლოგია) თვისებრივად განსხვავებული კომპონენტებისთვის (ბიოსამედიცინო, კლინიკური) ცალ-ცალკე. გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესით განსაზღვრული საკონტაქტო (ლექცია, სემინარების, კლინიკური და სიმულაციური მეცადინეობების ჩატარება) დატვირთვა. საკონტაქტო დატვირთვის ოდენობა აკადემიური პერსონალისთვის განისაზღვრება უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული საშტატო განაკვეთით, თითოეული აკადემიური თანამდებობისთვის ცალ-ცალკე. მოწვეული პერსონალის დატვირთვა გაიანგარიშება დატვირთვის საშუალო მაჩვენებლით. დატვირთვის დაჯამების შედეგად მიღებული ჯგუფ-საათები დარდება შესაბამისი პროგრამის შესაბამის კომპონენტში (ბიოსამედიცინო, კლინიკური) ყველა წელს ჩასატარებელი ლექციების/სემინარების ოდენობის ნამრავლზე შესაბამის კომპონენტში სტუდენტთა ჯგუფების რაოდენობაზე. ჯგუფების რაოდენობა განისაზღვრება მისაღები სტუდენტების ზღვრული რაოდენობის შესაბამისად.
სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პლაგიატის თავიდან არიდების, აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი. განსაზღვრულია საკითხის განმხილველი ორგანოს შემადგენლობა და პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, დისციპლინარული პასუხისმგებლობის ფორმები, როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური თუ სხვა პერსონალის მიმართ.
პლაგიატის დაუშვებლობისა და პლაგიატის დეფინიციების გარდა, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულია ყველა ტიპის ნაშრომში არაორიგინალური ტექსტის (ციტირება, პერეფრაზი, წყაროები და ა შ) მოცულობის მაქსიმალურად დასაშვები ოდენობები.
პლაგიატის პრევენციისთვის გამოიყენება პროგრამა TurnItIn-ი, რომელშიც სავალდებულია აისახოს უნივესიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებული ყველა ნაშრომი, ყველა საგრანტო პროექტი, ასევე, სტუდენტების ყველა ის დავალება, რომელიც ითვალისწინებს წერილობითი ნაშრომის მომზადებას.
აღსანიშნავია, რომ უსდ-ს ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანაა „სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დახვეწა“, რაც ძირითადად მოიაზრებს ელექტრონული კომუნიკაციის და პორტფოლიოს ფუნქციის დამატებას, თუმცა არსად იკვეთება დაწესებულების გეგმა მართვაში ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დანერგვის შესახებ.
როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დაწესებულება გეგმავს ადმინისტრაციული პერსონალის გაზრდას სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის შემთხვევაში. სტუდენტთა რაოდენობის მკვეთრად ზრდის პირობებში აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ სტრუქტურულმა ერთეულებმა ეფექტურად და კოორდინირებულად განახორციელონ თავიანთი ფუნქციები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის პასუხად, ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა დაწესებულების პოზიცია აღნიშნული სტანდარტის პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით. შესაბამისად, იგი იქნა მოხსნილი. **მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დამატებით აღვნიშნათ, რომ თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, მედიცინის პროგრამას ემსახურება 30 ადმინისტრაციული პერსონალი, ხოლო სტომატოლოგიის პროგრამას - 32. გასათვალისწინებელია, რომ ორივე პროგრამას ემსახურება უმეტესწილად იგივე პერსონალი. შესაბამისად, ექსპერტთა ხედვით 1025 სტუდენტის შემთხვევაში ადმინისტრაციული პერსონალის არსებული რაოდენობა არ იქნება საკმარისი სტუდენტთა ხარისხიანი მომსახურებისათვის. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი ვალდებულია შეაფასოს დაწესებულების არსებული რესურსები და ის ფაქტობრივი გარემოება, რაც ამჟამად არის ინსტიტუციაში.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
• „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმი“-ს სტრუქტურა; • „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმი“-ს წესდება; • „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმი“-ს დებულება; • „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმი“-ს აკადემიური საბჭოს დებულება; • „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმი“-ს სტრუქტურული ერთეულების დებულებები; • „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმი“-ს თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები; • „ბაუ ინთერნეიშენალ იუნივერსითი ბათუმი“-ს პერსონალის ეთიკის კოდექსი; • „ბაუ ინთერნეიშენალ იუნივერსითი ბათუმი“-ს სტუდენტური ეთიკის და დისციპლინარული პასუხისმგებლობის კოდექსი; • „ბაუ ინთერნეიშენალ იუნივერსითი ბათუმი“-ს პლაგიატის თავიდან არიდების, აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი; • “Turnitin” პროგრამული უზრუნველყოფის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი“; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
• რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაზარდოს ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ეფექტური განხორციელება.
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

3. საგანმანათლებლო პროგრამები

შეაფასეთ რამდენად უზრუნველყოფს ინსტიტუციაში არსებული პროგრამები სტუდენტთა მომზადებას შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში; რამდენად იქნება შესაძლებელი პროგრამებში გამოყენებული დარგის სპეციფიკით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდების განხორციელება და პროგრამებით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა, სტუდენტთა გაზრდილი ოდენობის ფარგლებში (გთხოვთ გააკეთოთ შესაბამისი აღნიშვნა):

☒ ინსტიტუციაში არსებული პროგრამები და სწავლების მეთოდები სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული ოდენობის პირობებში, სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად

☐ *ინსტიტუციაში არსებული პროგრამები და სწავლების მეთოდები სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული ოდენობის პირობებში, ნაწილობრივ უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად*

☐ *ინსტიტუციაში არსებული პროგრამები და სწავლების მეთოდები სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული ოდენობის პირობებში ვერ უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად*

გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების, განვითარების და განხორციელების პოლიტიკა, რომელიც გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესში და შეთანმხებულია დაწესებულების ყველა საჭირო სტრუქტურულ ერთეულთან. პროგრამის შემუშავების პროცედურა ხელმისაწვდომია პერსონალისთვის და განხილვაში მონაწილეებენ საჭირო ადმინისტრაციული და კლინიკური მიმართულებები, თუმცა, ექსპერტებთან შეხვედრების შედეგად გამოვლინდა დამსაქმებელთა ნაკლები ჩართულობა ზემოთ განხილულ პროცესში, რაც პროგრამის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, კერძოდ უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული იყო გამოკითხვა სპეციალური ჩეკ-ლისტების საშუალებით (წინასწარ გაწერილი სავარაუდო ვარიანტებით), რაც სრულად ვერ აღწერდა დამსაქმებელთა პოზიციას პროგრამის მიმართ. მათთან შეხვედრების შედეგად მიღებული უკუკავშირი ან შეხვედრების გეგმიური განრიგი სასწავლო უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია. ექსპერტებთან შეხვედრის დროს დამსაქმებლებმა დაადასტურეს, რომ ძირითადი უკუკავშირი უნივერსიტეტს პროგრამის შესახებ ჩეკლისტების შევსების ფორმატით გაუზიარეს. შესაბამისად, ნაკლებად ჰქონდათ ინფორმაცია პროცესის დეტალების შესახებ.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა მედიცინისა და სტომატოლოგიის სასწავლო პროგრამრები, რომლებიც შექმნილია დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით, თუმცა დაწესებულებას არ წარმოუდგენია გეგმა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის განახლებულ დარგობრივ მახასიათებელთან სრულად შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა აღწერილია და საშუალებას იძლევა ობიექტურად შეფასდნენ სტუდენტები. სწავლის შედეგების სამომავლო ტრენდის ანალიზისათვის ჩატარებულია შრომის ბაზრის კვლევა.

საგამოცდო პროცესი მიმდინარეონს საგამოცდო ცენტრში. შეფასების პროცესები და სტრუქტურა უზრუნველყოფს შეფასების სანდოობას და გამჭვირვალობას.

უნივერსიტეტში არსებობს შედეგების გასაჩივრების პროცედურა. კერძოდ, სტუდენტის განაცხადის საფუძველზე საგამოცდო ცენტრი განიხილავს შემთხვევებს, შესაბამისი პერსონალის ჩართულობით. სტუდენტს შეუძლია OSCE-ს გამოცდის აპელაციის პროცედურის ინიცირება. აღნიშნული გამოცდის ვიდეოჩანაწერი ინახება მხოლოდ 24 სთ. სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობისას საჭირო ხდება რაოდენობრივად მეტი პერსონალის არსებობა უნივერსიტეტში, რათა შესაბამისი რეაგირება განხორციელდეს გასაჩივრების პროცედურისთვის, OSCE-ის ჩათვლით.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები არ მოდის წინააღმდეგობაში უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილ სტუდენტთა გაზრდილ რაოდენობასთან, თუ შესაბამისად გაზრდილი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი უზრნუნველყოფს გაწერილი პროცესების აღსრულებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- მედიცინის და სტომატოლოგიის შრომის ბაზრის ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, გაიზარდოს დამსაქმებელთა ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

-

4. უსდ-ის პერსონალი

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად იძლევა ინსტიტუციის აკადემიური/ადმინისტრაციული/სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა (მათ შორის სტუდენტებისა და პერსოალის თანაფარდობა) და კვალიფიკაცია იმის შესაძლებლობას, რომ ინსტიტუციის მიერ ეფექტურად იქნას წარმათული საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესები, სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში (გთხოვთ გააკეთოთ შესაბამისი აღნიშვნა):

☐ ინსტიტუციის პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია სრულად იძლევა საგანმანათლებლო, კვლევითი / სამეცნიერო / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტრად განხორციელების შესაძლებლობას, სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში

☒ ინსტიტუციის პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია ნაწილობრივ იძლევა საგანმანათლებლო, კვლევითი / სამეცნიერო / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტრად განხორციელების შესაძლებლობას, სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში

☐ ინსტიტუციის პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია არ იძლევა საგანმანათლებლო, კვლევითი / სამეცნიერო / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტრად განხორციელების შესაძლებლობას, სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში

გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია პოლიტიკა ადამიანური რესურსების ობიქტურად და ხარისხიანად მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გაწერილია შესაბამის დოკუმენტში. თვითშეფასების ანგარიშდან ირკვევა, რომ სასწავლო უნივერსიტეტში სულ დასაქმებულია - 218 პერსონალი. აქედან, აკადემიური - 24, მოწვეული - 156, ადმინისტრაციული - 33, დამხმარე- 4. აკადემიური პერსონალიდან პროფესორი - 7, ასოცირებული პროფესორი - 6, ასისტენტ-პროფესორი - 5, ასისტენტი - 6. აფილირებული აკადემიური პერსონალიდან პროფესორი - 6, ასოცირებული პროფესორი - 5, ასისტენტ-პროფესორი - 5, ასისტენტი - 5; უცხოელი აკადემიური პერსონალი - 8, უცხოელი მოწვეული პერსონალი - 6, კვლევაში ჩართული უცხოელი პერსონალი - 3. დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის პროცენტული წილი პერსონალის მთლიან რაოდენობაში - 53; მათ შორის არიან მოწვეული სპეციალისტები სხვადასხვა ქვეყნიდან, თუმცა მათი ჩართულობა მიმდინარე სასწავლო პროცესში ძირითადად მიმდინარეობს ონლაინ. პერსონალის შერჩევის წესები გამჭვირვალეა, ხელმისაწვდომია შესაბამისი სამუშაო აღწერილობები პოზიციების მიხედვით. დასაქმება მიმდინარეობს ღია კონკურსის წესის შესაბამისად. პერსონალს აქვს შესაბამისი კვლაიფიკაცია და გამოცდილება სასწავლო პროცესების განხორციელებისათვის. სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიული უნარების განვითარების მხარდაჭერას, რაც დასტურდება დოკუმენტაციით და მათთან ინტერვიუების საფუძველზე. პერსონალის ხელშეკრულება ითვალისწინებს 6, 4 და 3 წლის ვადით პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტის დასაქმებას, თუმცა აფილირების ვადა შესაბამის დოკუმენტში განსაზღვრულია 1 წლით, რამაც შესაძლებელია პროცესის ეფექტურობაზე იმოქმედოს, განსაკუთრებით გაზრდილი სტუდენტური რაოდენობის შემთხვევაში. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან სამიზნე მაჩვენებელთან შედარებით მკვეთრად დაბალია, რაც მომავალში ხელს შეუშლის სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობით გამოწვეული საჭიროებების აღსრულებას.

ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა QMS-ბაზის მონაცემები, რომლის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებასთან აფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მნიშვნელოვან ნაწილს უფიქსირდება ძალიან მაღალი ჯამური დატვირთვა სხვა უსდ-ებში (890, 377, 525, 357, 377, 890, 330, 530, 186, 525, 390, 510, 186, 478 და ა.შ.). აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია როგორც სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, ისე სწავლის განმახორციელებელი პერსონალის მდგრადობის თვალსაზრისით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
• სამუშაო აღწერილობები; • საშტატო განრიგი; • პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები; • პერსონალის მართვის პოლიტიკა; • თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიური პერსონალის აფილირების წესი; • პერსონალის განსაზღვრის წესი.
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
• რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის აფილირების ხელშეკრულების მოქმედების ვადა. • რეკომენდებულია, გაიზარდოს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი სტუდენტთა დაგეგმილი კონტინგენტის შესაბამისად. • რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაანალიზოს QMS-ბაზის მონაცემები და შეიმუშავოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის ისეთი სქემა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობას და ეფექტურ განხორციელებას.
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად ეფექტურად განახორციელებს ინსტიტუცია სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებს სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში პირობებში (გთხოვთ გააკეთოთ შესაბამისი აღნიშვნა):

☒ ეფექტურად განახორციელებს

☐ ნაწილობრივ ეფექტურად განახორციელებს

☐ ეფექტურად ვერ განახორციელებს

გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
ბაუ-ს მკაფიოდ აქვს განსაზღვრული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების საფეხურები. რეგულაციები გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. წესებში მოყვანილი ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის. ბაუ უზრუნველყოფს სტუდენტის უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვას. ბაუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულია სტუდენტის უფლებები და მოვალეობები, რომელიც ეფუძნება

სასწავლო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსს. ბაუ-ში სტუდენტთა კანონიერ ინტერესებსა და უფლებებს სტუდენტური ომბუდსმენი იცავს. მის ძირითად მოვალეობას წარმოადგენს სტუდენტთა უფლებრივი მდგომარეობის რეგულარული შესწავლა, მონიტორინგი და დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი მყისიერი ღონისძიებების გატარება. ომბუდსმენი პასუხისმგებელია სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ მოამზადოს ყოველწლიური ანგარიში, რომელშიც უნდა აისახოს გამოვლენილი დარღვევები, პრობლემური საკითხები და რეკომენდაციები. ომბუდსმენი ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. აკადემიური საბჭო განიხილავს ანგარიშში აღნიშნულ პრობლემებს. ომბუდსმენის ანგარიში ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ნებისმიერი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელს და მათგან მიიღოს რეაგირება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

ბაუ-ში სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული არჩევნების წესით არჩეული სტუდენტების წარმომადგენლობით კოლეგიურ ორგანოს, რომელიც საქმიანობას ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეულებისგან დამოუკიდებლობის პრინციპის საფუძველზე. ყოველწლიურად, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით იმართება საერთაშორისო კულინარიული ფესტივალი.

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ბაუ-ს სტუდენტურ თვითმმართველობას მიეწოდა რეკომენდაცია მოახდინონ სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურის მოდიფიცირება, გაზრდილი სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად, თვითმმართველობაში მეტი სტრუქტურული ერთეულის შექმნისა და სტუდენტების ინტერესების უკეთ წარმოჩენის მიზნით.

ბაუ-ში სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება. სტუდენტთა მომსახურებისა და კარიერული მხარდაჭერის სამსახური იღებს პასუხისმგებლობას სტუდენტებს სწავლის დაწყებისთანავე მიაწოდოს ინფორმაცია არსებული კონსულტაციებისა და დახმარების შესახებ.

უნივერსიტეტში სემესტრის პირველ სასწავლო კვირას ეწყობა საორიენტაციო შეხვედრები, რომლებიც ატარებენ საინფორმაციო ხასიათს. სტუდენტებს მიეწოდებათ კორპორაციული ელფოსტა, რომლის გამოყენებაც სავალდებულოა ბაუ-ს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან საკომუნიკაციოდ. საორიენტაციო კვირეულის დროს სტუდენტებს უტარდებათ ტრენინგ კურსი, თუ როგორ გამოიყენონ ელექტრონული სასწავლო პორტალი KEYPS. ასევე, სტუდენტები ეცნობიან ბაუ-ში მომუშავე პერსონალს, შეფასების სისტემას, ონლაინ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს და იღებენ სხვა მნიშვნელოვან ინფრომაციას, რომელიც აუცილებელია, საგანმანათლებლო პროცესში საერთაშორისო სტუდენტთა ინტეგრირების კუთხით.

სტუდენტთა მომსახურებისა და კარიერული მხარდაჭერის სამსახური აქტიურადაა ჩართული უცხოელი სტუდენტების საქართველოში შემოსვლის პროცესში. ასევე, შექმნილია სახელმძღვანელო პირველკურსელებისთვის, რომელშიც გაწერილია ინფორმაცია ზოგადად ქალაქის, სავიზო და ბინადრობასთან დაკავშირებული რეგულაციების, საზოგადოებრივი ტრანსპორტითა და სხვა სერვისებით სარგებლობის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალური მსჯელობა და რეკომენდაცია იხილეთ მე-2 სტანდარტში.

თითოეულ სასწავლო კურსს ემაგრება ტუტორი, რომლის ამოცანაში შედის სტუდენტების კონსულტირება და მხარდაჭერა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, სასწავლო კურსების, სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ სტუდენტების კონსულტირება, სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი. ბუნებრივია, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ორჯერ გაზრდის პირობებში, სტუდენტთა მხარდაჭერის ეფექტური განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტის მხრიდან საჭირო იქნება ტუტორების რაოდენობის გაზრდაც, რათა გაზრდილ სტუდენტთა რაოდენობის მოთხოვნებსა და საჭიროებებს კვლავაც ეფექტიანად უპასუხოს სასწავლო უნივერსიტეტმა.

თითოეული სასწავლო სემესტრის დასაწყისში იმართება საკონსულტაციო შეხვედრები დეკანთან, პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სტუდენტების ჩართულობის საშუალებებია: სტუდენტებისგან ჯგუფური და ინდივიდუალური უკუკავშირი, სკოლისა და აკადემიურ საბჭოში სტუდენტების წარმომადგენლების მონაწილეობა, სტუდენტებისთვის ხარისხის მართვის პროცესში ჩართულობა, ადმინისტრაციასთან პერიოდული შეხვედრების შესაძლებლობა.

ბაუ-ს მხრიდან უზრუნველყოფილია სტუდენტების კონსულტირება კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე. სტუდენტთა მომსახურებისა და კარიერული მხარდაჭერის სამსახური

უზრუნველყოფს სტუდენტების დასაქმებას და ავრცელებს ინფორმაციას ვაკანსიებთან დაკავშირებით. აღნიშნული დეპარტამენტის წარმომადგენლები ეხმარებიან სტუდენტებს CV-ებისა და სამოტივაციო წერილების მომზადებაში. სტუდენტთა მაქსიმალური ინფორმირების მიზნით სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი ვაკანსიების და კარიერული ზრდის მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ: საუნივერსიტეტო ელექტრონულ ფოსტაზე, ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ბაუ მოქმედი პროგრამის სტუდენტებისათვის უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების პროვაიდერ დაწესებულებებში მოხალისეობრივი სტაჟირების შესაძლებლობას, სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზებითა და ხელშეწყობით. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა სწავლების პერიოდშივე დასაქმდეს ბაუ-ში.

კურსდამთავრებულებსა და აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია სხვადასხვა სტუდენტური ღონისძიებების, საერთაშორისო ტრენინგებისა და კონფერენციების შესახებ. საერთაშორისო მობილობისა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის მიზნით ბაუ-ს გაფორმებული აქვს რიგი მემორანდუმები. ბაუ მიმდინარე მოლაპარაკებების საფუძველზე გეგმავს პარტნიორი უნივერსიტეტების ქსელის გაფართოვებას, რაც სტუდენტების გაზრდილ რაოდენობას საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს თემატური სტუდენტური კლუბები.

ბაუ ითვალისწინებს სტუდენტის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და ახორციელებს სხვადასხვა მხარდამჭერ ღონისძიებებს. უნივერსიტეტს აქვს სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის გამჭვირვალე და ობიექტური მექანიზმები, რომელთა შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია.

ბაუ-ს შენობა სრულადაა ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული კვლევაში, პროგრამის ფარგლებში თუ პროგრამის გარეთ, სტუდენტურ თუ სამეცნიერო კვლევით პროექტებში. ბაუ სტუდენტებს USMLE (აშშ სამედიცინო სალიცენზიო გამოცდა) მოსამზადებელ კურსს უფასოდ სთავაზობს.

აღსანიშნავია, რომ ბაუ სტუდენტებს სთვაზობს სივრცეს, რომლის გამოყენება 24 საათის განმავლობაში შესაძლებელია მეცადინეობისა თუ ჯგუფური მუშაობის მიზნით.

წინა შეფასებიდან მნიშვნელოვანია, რომ ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფმა აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებით გასცა რეკომენდაცია, რომ უნივერსიტეტმა უნდა განიხილოს სტუდენტთა მომსახურების სამსახურის პერსონალის გაზრდა სტუდენტების რაოდენობის ზრდასთან შესაბამისობაში. სასწავლო უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ექსპერტთა პანელის რეკომენდაცია და საანგარიშო პერიოდში, სტუდენტთა რაოდენობის გაზრდამდე სტუდენტთა მომსახურების და კარიერული მხარდაჭერის სამსახური გაიზარდა 2 სპეციალისტით.

მოცემულ შემთხვევაში, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ორჯერ გაზრდის პირობებში, აუცილებელია უნივერსიტეტს შემუშავებული ჰქონდეს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობის ეტაპობრივი ზრდის გეგმა სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების ეფექტური განხორციელების მიზნით, მით უმეტეს, რომ სასწავლო უნვერსიტეტს ამის ნება და რესურსი აქვს. აღნიშნულზე დეტალური მსჯელობა და რეკომენდაცია წარმოდგენილია მე-2 სტანდარტის აღწერილობით ნაწილში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის პასუხად, ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაითვალისწინა დაწესებულების არგუმენტაცია წინამდებარე სტანდარტის რეკომენდაციასთან მიმართებით. შედეგად, ხსენებული რეკომენდაცია გაერთიანდა მე-2 სტანდარტის რეკომენდაციასთან, ვინაიდან ადმინისტრაციული პერსონალი საკუთარ თავში მოიაზრებს სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების განმახორციელებელ პერსონალსაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან;
- სტუდენტის სტატუსისა და მობილობის შესახებ დებულება;
- სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებული უმაღლესი განათლების კრედიტების აღიარების წესი;
- სტუდენტთა ეთიკის კოდექსი;
- სწავლის დაფინანსების მოპოვების წესი;
- სტუდენტური თვითმმართველობის დებულება;
- უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;

- სტატუსშეჩერებული სტუდენტების კვლევის შედეგები;
- სტუდენტთა მომსახურებისა და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტის დებულება;
- სტუდენტთა მომსახურებისა და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტის თანამშრომლების სამუშაო აღწერილობები;
- კარიერული მხარდაჭერის სტრატეგია;
- სტუდენტური კონფერენციების მასალები;
- სტუდენტური თვითმმართველობის მიერ განხორციელებული აქტივობების ჩამონათვალი;
- სოციალური საკითხების კომიტეტის დებულება;
- განხორციელებული სტუდენტური აქტივობების დანართი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.bauinternational.edu.ge.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

-

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად უზრუნველყოფს ინსტიტუცია საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებას, კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში.

☐ *სრულად უზრუნველყოფს*

☒ *ნაწილობრივ უზრუნველყოფს*

☐ *ვერ უზრუნველყოფს*

გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (თვითშეფასება, ბაუ-ს ვებსაიტი და თანხმლები დოკუმენტები) და ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ სასწავლო უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს კვლევითი მიმართულების გაძლიერებაზე. კერძოდ, უნივერსიტეტის მიერ გაწერილი იქნა „სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია“ (2020-2022), რომლის მიხედვითაც განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები და აყვანილი იქნა 4 მკვლევარი - 2 მედიცინის და 2 სტომატოლოგიის მიმართულებით. სტუდენტები მეექვსე კურსზე აკეთებენ სამეცნიერო პროექტს და ხდება მათი აქტიურად ჩართვა ამ მიმართულებით, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის შემთხვევაში საჭირო იქნება დამატებითი კადრების მოზიდვა, რაც უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა და თვლიან, რომ ეტაპობრივად ყოველწლიურად გამოცხადდება კონკურსები და მოხდება მკვლევარი აკადემიური პერსონალის დამატება საჭიროების მიხედვით. ყველა კატეგორიის აკადემიური პერსონალისთვის დადგენილია კვლევის პროდუქტიულობის მაჩვენებლები, როგორც აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის კონკურსის მომენტისთვის, ასევე სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავების პერიოდში.

სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია კვლევითი მიმართულებები და მიზნები. კერძოდ:

- „სამეცნიერო კვლევის განხორციელების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
- სამეცნიერო კვლევის მხარდაჭერის ღონისძიებების სპექტრის განსაზღვრა;
- კვლევის დაფინანსების საუნივერსიტეტო მექანიზმების განვითარება;

- აკადემიური პერსონალის კვლევის მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერება;
- კვლევითი აქტივობების (კონფერენციები, სემინარები, სიმპოზიუმები) რაოდენობისა და დაფარვის არეალის ზრდა;
- საგანმანათლებლო პროგრამებში სამეცნიერო კვლევის მეტად ინტეგრირება და სტუდენტური კვლევის ხელშეწყობა და სხვა.“

როგორც თვითშეფასებიდან ჩანს, 2021-2023 სასწავლო წლის განმავლობაში ბაუ-ს აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებულ იქნა 26 სამეცნიერო პუბლიკაცია და პერსონალმა მონაწილეობა მიიღო 8 საერთაშორისო კონფერენციაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბაუ-ს მჭიდრო ურთიერთობა აქვს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ერთობლივი დაფინანსებისა და ხელშეკრულების შესაბამისად ხდება კვლევების განხორციელება, რასაც ადასტურებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი სალომე აბულაძის კვლევის „ბუნებრივი და ხელოვნური ჰუმორული (ანტისხეულები) იმუნიტეტის შესწავლა Sars-Cov-2-ის მიმართ სამედიცინო პერსონალში“, რომლის ნაწილი უკვე ხორციელდება ბაუ-ს ბაზაზე.

ადგილზე ვიზიტის დროს მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

სასწავლო უნივერსიტეტში განთავსებულია 7 სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია საკმარისი ინვენტარით, რომელიც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის, კერძოდ: მიკრობიოლოგიის და იმუნოლოგიის, ფარმაკო-გენეტიკის, ციტოლოგიისა და ჰისტოლოგიის ლაბორატორია, ბიოქიმიისა და მოლეკულური გენეტიკის ლაბორატორიები.

სასწავლო უნივერსიტეტის ლაბორატორიული რესურსის გამოყენებით ტარდება არა მხოლოდ სტუდენტთა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტები (სწავლება სიმულაციურ გარემოში, ლაბორატორიული სამუშაო, ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდები (OSPE)), არამედ სტუდენტთა კვლევითი პროექტებიც.

არსებული პერსონალი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ასევე ბიუჯეტში სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების გაძლიერებისთვის გამოყოფილი თანხები გაწერილია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდა მოითხოვს ამ მიმართულებით როგორც ფინანსური, ასევე პერსონალის გაზრდას. თვითშეფასების და ინტერვიუს მიხედვით 2023 წლის დასრულებამდე „შემუშავდება და აკადემიურ საბჭოს წარედგინება სამეცნიერო-კვლევის განახლებული გეგმა, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს და მათი განხორციელების გზებს მომავალი 3 წლის განმავლობაში“.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული და გაანალიზებული იქნა ყველა ის ინფორმაცია (თვითშეფასება, დოკუმენტები, ინტერვიუს პროცესი), რაც მოწოდებული იყო უნივერსიტეტის მიერ და მოსაზრებები ასახულია დასკვნაში. როგორც ინტერვიუს დროს იქნა გაჟღერებული, თითოეულმა სტუდენტმა უნდა მიიღოს მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელებაში, რაც სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის (ერთ კურსზე აღმოჩნდება მინიმუმ 150 სტუდენტი) შემთხვევაში, მოითხოვს აფილირებული პერსონალის რაოდენობის მკვეთრ ზრდას, რის გამოც გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია. ამდენად, რეკომენდაციას ვტოვებთ უცვლელად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბაუს განაცხადი 2023;
- ინტერვიუს შედეგები;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებსაიტი;
- სამეცნიერო პროდუქტიულობის ანგარიში;
- სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, აფილირებული/სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის გაზრდა ეტაპობრივად დატვირთვის სქემის გაზრდის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერებას.
- რეკომენდებულია, ფინანსების გაზრდა სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, რაც მოიცავს კონფერენციებზე პერსონალის/სტუდენტების დასწრებას.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად უზრუნველყოფს ინსტიტუციის მატერიალური, საბიბლიოთეკო საინფორმაციო და ფინანსური რესურსები ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში (გთხოვთ გააკეთოთ შესაბამისი აღნიშვნა).

☒ *სრულად უზრუნველყოფს*

☐ *ნაწილობრივ უზრუნველყოფს*

☐ *ვერ უზრუნველყოფს*

გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ინტერვიუსა და ადგილზე დათვალიერების შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რათა უზრუნველყოს გაზრდილი კონტინგენტის მიღება. კერძოდ: საუკეთესოდ აღჭურვილი სტომატოლოგიური ლაბორატორია, სადაც ერთ ჯერზე შესაძლებელია 30 სტუდენტის მიღება საფანტომო სწავლებაზე, ასევე, სიმულაციური კლინიკა 3 სტომატოლოგიური სავარძლით. გარდა ამისა, გაფორმებულია ხელშეკრულება კლინიკა „როგო“-სთან, რომელიც თანამედროვედ აღჭურვილია და სრულად უზრუნველყოფს სტომატოლოგიური მიმართულების სტუდენტების სწავლებას. რაც შეეხება მედიცინის მიმართულებით, ახალი შენობის დამატების შემდეგ ფაქტიურად გაორმაგდა სივრცე როგორც საბიბლიოთეკო, ასევე სააუდიტორიო (სალექციო და სასემინარო). ყველა აუდიტორია მოწყობილია სალექციო მეცადინეობებისათვის საჭირო ინვენტარით; შენობაში განთავსებულია PBL-CBL საკლასო ოთახი, რომლის ტევადობა შეადგენს 60 სტუდენტს. გარდა თეორიული სწავლების სივრცეებისა, სასწავლო უნივერსიტეტში განთავსებულია თანამედროვე დონეზე აღჭურვილი ლაბორატორიები, რომელთაც ერთროულად შეუძლიათ მიიღონ 50 სტუდენტი:

– მიკრობიოლოგიის და იმუნოლოგიის ლაბორატორია - 10 სტუდენტი;
– კვლევითი ლაბორატორია - 5 სტუდენტი;
– ციტოლოგიისა და ჰისტოლოგიის ლაბორატორია - 10 სტუდენტი;
– ბიოქიმიისა და მოლეკულური ბიოლოგიის ლაბორატორია - 10 სტუდენტი;
– კლინიკური უნარების და ანატომიური კვეთის ლაბორატორია - 15 სტუდენტი.

უნივერსიტეტს გააჩნია 2 საბიბლიოთეკო სივრცე და ასევე 24 საათიანი მომსახურებისთვის 2 ცალკე შესასვლელით უზრუნველყოფილი სივრცე, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ კომფორტულ გარემოში იმეცადინონ მათთვის სასურველ დროს.

რაც შეეხება ელექტრონულ რესურსებს, ადგილზე ვიზიტის შედეგად შემოწმდა და გამოვლინდა, რომ „KEYPS სასწავლო პროცესის მართვის სისტემიდან სასწავლო უნივერსიტეტი გადავიდა სასწავლო პროცესის მართვის ინტეგრირებულ სისტემაზე ini.ge, რომელიც განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის დომეინზე lms.Bauinternational.edu.ge; ასევე, ინერგება მმართველობითი პროცესების (სტრატეგიული დაგეგმარება, ადამიანური რესურსების მართვა, ფინანსური მენეჯმენტი, საქმისწარმოება) მართვის ელექტრონული სისტემა Staff.bauinternational.edu.ge“.

სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია მყარი ფინანსური მხარდაჭერა, რაც დასტურდება 2021-2022 და 2023 წწ. ბიუჯეტის მიხედვით. 2022 წელს სასწავლო უნივერსიტეტმა შეძლო ნულოვანი მოგების მიღება, რაც საფუძვლად დაედო სწორედ 2023 წლისთვის სასწავლო უნივერსტიტეტის მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მოთხოვნას. 2022-2023 სასწავლო წლის ბიუჯეტით ფაქტიურად ორჯერ გაიზარდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის სახელფასო ფონდი, რაც გამოწვეული იყო მოწვეული პერსონალის რაოდენობის ზრდით. წარმოდგენილი ბიუჯეტის (2021-2022) ხარჯვითი ნაწილის მიხედვით 3 739 587.95 ლარიდან პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, მათ შორის სამეცნიერო

მიმართულებით ერთიანად დაიხარჯა 37 000 ლარი, ასევე კვლევით აქტივობაში 10000 ლარი, რაც მთლიანი ბიუჯეტის დაახლოვებით 1%-ა. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა აუცილებელია ყველა სტუდენტისთვის, რაც კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში მოითხოვს მეტ ფინანსურ მხარდაჭერას უნივერსიტეტიდან. ამდენად ვფიქრობთ, რომ მიზანშეწონილი იქნება აფილირებული და სამეცნიერო პერსონალის პროფესიული განვითარებისა და სამეცნიერო-კვლეევითი მიმართულებით მეტი თანხების მიმართვა და ასევე ბიუჯეტის შედგენისას გათვალისწინებული იყოს კვლევითი მიმართულებით რამდენი გაიხარჯება პროცენტულად და რეალური მოთხოვნების შესაბამისად.

გავეცანით დაწესებულების პოზიციას, თუმცა ექსპერტთა პანელი ტოვებს რეკომენდაციებს და დამატებით განმარტავს: წარმოდგენილი ბიუჯეტის (2021-2022) ხარჯვითი ნაწილის მიხედვით, 3739587.95 ლარიდან პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, მათ შორის სამეცნიერო მიმართულებით, ერთიანად დაიხარჯა 37 000 ლარი, ასევე, კვლევით აქტივობაში 10000 ლარი, რაც მთლიანი ბიუჯეტის დაახლოვებით 1%-ა. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა აუცილებელია ყველა სტუდენტისთვის, რაც კონტინგენტის გაზრდის შემთხვევაში მოითხოვს მეტ ფინანსურ მხარდაჭერას უნივერსიტეტის მხრიდან. ამდენად, ვფიქრობთ, რომ მიზანშეწონილი იქნება აფილირებული და სამეცნიერო პერსონალის პროფესიული განვითარებისა და სამეცნიერო-კვლეევითი მიმართულებით მეტი თანხების მიმართვა და, ასევე, ბიუჯეტის შედგენისას გათვალისწინებული იყოს კვლევითი მიმართულებით რამდენი გაიხარჯება პროცენტულად და რეალური მოთხოვნების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- LMS სისტემის ფუნქციონალი;
- ხელშეკრულება პროგრამული მომსახურების პროვაიდერთან;
- შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- საგანმანათლებლო პროგრამები და მათში მითითებული გამოსაყენებელი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და მისი შესაბამისობა მატერიალურ რესურსებთან;
- პრაქტიკის/კვლევით-სამეცნიერო ობიექტთან დადებული ხელშეკრულება;
- ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგი;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ელექტრონული კატალოგი;
- ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების სტატისტიკა;
- ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები;
- ინფორმაცია ჩატარებული შეხვედრების, კონსულტაციების და სხვა ღონისძიებების შესახებ;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, ინსტრუქციები;
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები;
- ბაუ-ს განაცხადი 2023;
- ადგილზე დათვალიერების შედეგები.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, აფილირებული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პროფესიული განვითარებისა და სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაძლიერების მიზნით, მოხდეს ფინანსური რესურსების გაზრდა კვლევითი პროექტების განსახორციელებლად.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.